საქართველოს ნაციონალური
მოტოსპორტის ფედერაცია

რეგლამენტი

1.შეჯიბრის ტიპი:

წყვილთა რბოლა „ედვენჩერ“ და „დუალ სპორტ“ მოტოციკლებს შორის.

პრომოუტერი: საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია

ლოკაცია: ჰასკი მოტო პარკი

თარიღი: 26.04.2026

1.1 შეჯიბრი ტარდება არასაერთო მოხმარების გზაზე, რომელიც სპეციალურად მოწყობილია შეჯიბრისთვის. საშეჯიბრო გზა მოიცავს დაახლოებით 1 კმ-იან საშუალო სირთულის რელიეფს ხელოვნური და ბუნებრივი დაბრკოლებებით, რაც მიმართულია როგორც მოტოციკლების სანდოობის, ასევე მრბოლელების გამძლეობის შემოწმებაზე. ნებისმიერი სირთულე, რომელიც წინასწარ არ იყო გათვალისწინებული, მიიჩნევა როგორც შეჯიბრის ნაწილი და მსგავსი მიზეზით საჩივარი არ მიიღება. საშეჯიბრო გზა უნდა იყოს განვლადი ნებისმიერი ამინდის პირობებში და შესაფერისი რეგლამენტით გათვალისწინებული მოტოტრანსპორტისთვის.

1.2 შეჯიბრზე წარმოდგენილი კლასები:

კლასი 1 - 1 ცილინდრი, ძრავის მოცულობა 400cc-მდე.
კლასი 2 - 1 ცილინდრი, ძრავის მოცულობა 400cc-დან.
კლასი 3 – 2 (და მეტი) ცილინდრი, ძრავის მოცულობა 1000cc-მდე
კლასი 4 - 2 (და მეტი) ცილინდრი, ძრავის მოცულობა 1000cc-დან

1.3 შეჯიბრში მონაწილეთა შეფასება მოხდება ქულათა სისტემით, ქულებით შეფასება მოხდება ყველა კალასში ცალ-ცალკე.

ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი	ქულა
1	20	6	10	11	5
2	17	7	9	12	4
3	15	8	8	13	3
4	13	9	7	14	2
5	11	10	6	15	1

1.4 კლასი ჩაითვლება შემდგარად თუ მასში რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 4(ოთხ) სპორტსმენს.
იმ შემთხვევაში, თუ კლასში დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა არის 4-ზე ნაკლები, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას გააუქმოს აღნიშნული კლასი ან გააერთიანოს იგი სხვა, შესაბამის კლასთან. გაერთიანების შემთხვევაში მონაწილეები შეფასდებიან ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2 საშეჯიბრო წესები:
2.1 კვალიფიკაცია:
საშეჯიბრო კვალიფიკაცია გაიმართება პრომოუტერის და ოფიციალური პირების მიერ წინასწარ დადგენილი დროის და წესების გათვალისწინებით:
შემთხვევითი რიგითობით თითეული მრბოლელი სტარტს აიღებს საკვალიფიკაციო ტრეკზე, ერთი სრული წრის დასრულების შემდეგ მოხდება საკვალიფიკაციო დროის დაფიქსირება. თითო მრბოლელს ექნება მხოლოდ ერთი საკვალიფიკაციო ცდა.

2.2 წყვილთა რბოლა იმართება ორ მრბოლელს შორის, რომლებიც სტარტს იღებს ერთმანეთის პარალელურად. ორივე მრბოლელი გადის ერთსა და იმავე გზას და აფინიშებს პარალელურად. გამარჯვებულია მონაწილე, რომელიც პირველი გადაკვეთს ფინიშის ხაზს. რბოლა გრძელდება 2 გამარჯვებამდე. პირველი გარბენის შემდეგ მონაწილეები იცვლიან პოზიციებს. მეორე გარბენის შედეგად ფრეს დაფიქსირების შემთხვევაში იმართება მესამე გარბენი.

კვალიფიკაციით მიღებული დროების შედეგად, მონაწილეების დაწყვილება მოხდება შემდეგი პრინციპით: კვალიფიკაციის შედეგად საუკეთესო დროის მქონე სპორტსმენი შეეჯიბრება ყველაზე ცუდი შედეგის მქონე სპორტსმენს და ა.შ.

1	2	3	4	5	6	7	8
16	15	14	13	12	11	10	9

შენიშვნა: **იმ შემთხვევაში, თუ მრბოლელთა რაოდენობა აღემატება 16-ს, მაგრამ არ აღწევს 32-ს, ტარდება წინასწარი რაუნდი, რომელიც ფორმირდება კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით. წინასწარ ეტაპზე ერთმანეთს ეჯიბრებიან ყველაზე დაბალი პოზიციების მქონე მრბოლელები — დაწყვილების პრინციპი რჩება იგივე (საუკეთესო დროის მქონე ეჯიბრება ყველაზე სუსტს). წინასწარი რაუნდის შედეგად გამარჯვებულები უერთდებიან საუკეთესო დროის მქონე მრბოლელების ჯგუფს და შემდეგი ეტაპი იწყება სრულყოფილი ბადის (8, 16, 32, 64...) შესაბამისად.**
ეტაპების გავლის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო 16, შემდეგ 8 მონაწილე და მათი დაწყვილებაც მოხდება იგივე პრინციპით.
შემდეგ ეტაპზე მოხვდებიან საუკეთესო 4 სპორტსმენი რის შემდეგაც მოხდება 3 გამარჯვებული სპორტსმენის გამოვლინება.

2.3 ჯარიმა/დისკვალიფიკაცია

დადგენილ დროს სტარტზე არ გამოცხადების შემთხვევაში მონაწილე გამოეთიშება შეჯიბრს. სტარტზე ასევე მოხდება სპორტსმენების აღჭურვილობის შემოწმება.

შენიშვნა: შეჯიბრის განმავლობაში მოტოციკლით გადაადგილების დროს სპორტსმენი ვალდებულია ჩაფხუტის ღვედი ჰქონდეს შეკრული. გახსნილი ღვედის დაფიქსირების შემთხვევაში ოფიციალურიი პირი ვალდებულია მონაწილე განმარტებების გარეშე ავტომატურად გამოთიშოს შეჯიბრს და ზემოთხსენებული აცნობოს შეჯიბრის დირექტორს.

2.4 შეჯიბრის მსვლელობის დროს მონაწილე ვალდებულია დაემორჩილოს ოფიციალური პირების მოთხოვნებს:

აწეული ყვითელი დროშა: გაფრთხილება, აკრძალულია ტრამპლინზე გადახტომა. გადაადგილება ხდება არაუმეტეს 20კმ/სთ სიჩქარისა

აწეული წითელი დროშა: უკიდურესი შემთხვევა, მონაწილე ვალდებულია გააჩეროს ტრანსპორტი და დაელოდოს მსაჯის შემდგომ მითითებას.

არსებული წესების დარღვევა გამოიწვევს მონაწილის დისკვალიფიკაციას.

2.5 "ფალშსტარტის" შემთხვევაში: პირველი შემთხვევა, საპატიო (სტარტის გამეორება) მეორე შემთხვევა, მონაწილეს ჩაეთვლება რაუნდის წაგებად.

2.6 მონაწილე ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე გადაადგილდეს წინასწარ მონიშნული ტრაექტორიით. ტრაექტორიიდან გასვლა, საშეჯიბრო გზის მიზანმიმართულად ავლა განისაზღვრება დისკვალიფიკაციით.

იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს იძულებით მოუწია მონიშნული ტრაექტორიიდან გასვლა, იგი ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე დაბრუნდეს გასვლის ადგილიდან.

2.7 შეჯიბრის მსვლელობის დროს საშეჯიბრო გზაზე აკრძალულია გარეშე პირის მიერ მონაწილის დახმარება, არსებული ქმედების შედეგად მონაწილეს ჩაეთვლება რაუნდის წაგება.

2.8 მონაწილეს უფლება აქვს შეჯიბრის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში წერილობითი ფორმით აცნობოს სადაო საკითხი ოფიციალურ პირებს. ოფიციალური პირი ვალდებულია განიხილოს სადაო საკითხი სამსაჯო კომისიასა და შეჯიბრის დირექტორთან ერთად 5 დღის განმავლობაში.

3.მოტოტრანსპორტის კლასიფიკაცია.

3.1 შეჯიბრიში მონაწილეობის მიღება შეუძლია ედვენჩერ და დუალ სპორტის ტიპის მოტოციკლს.

3.2 მონაწილეების დაყოფა მოხდება კლასების მიხედვით

1. კლასი 1 - 1 ცილინდრი, ძრავის მოცულობა 400cc-მდე.

2. კლასი 2 - 1 ცილინდრი, ძრავის მოცულობა 400cc-დან.

3. კლასი 3 – 2 (და მეტი) ცილინდრი, ძრავის მოცულობა 1000cc-მდე

4. კლასი 4 - 2 (და მეტი) ცილინდრი, ძრავის მოცულობა 1000cc-და

3.3 ნებადართული საბურავების ტიპი:

90/10 - ასფალტი / გრუნტი
80/20 - ასფალტი / გრუნტი
70/30 - ასფალტი / გრუნტი
60/40 - ასფალტი / გრუნტი
50/50 - ასფალტი / გრუნტი
40/60 - ასფალტი / გრუნტი
30/60 - ასფალტი / გრუნტი

4. უსაფრთხოება

4.1 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენი ვალდებულია ჰქონდეს შემდეგი აღჭურვილობა:

მოტობოტი/მოტობათინკი - აუცილებელი

ჩაფხუტი - აუცილებელი

სამუხლე - სასურველი

საიდაყვე - სასურველი

ხელთათმანი - სასურველი

4.2 თითოეული მონაწილე აცნობიერებს შეჯიბრთან დაკავშირებულ რისკებს და პასუხისმგებელია როგორც პირად, ასევე სხვა მონაწილის და მაყურებლის უსაფრთხოებაზე.

4.3 მაყურებელი ვალდებულია შეჯიბრის მსვლელობის დროს არ გადაკვეთოს მათთვის გამოყოფილი ტერიტორია და უპასუხისმგებლო ქმედებით საფრთხე არ შეუქმნას პირად და სხვის ჯანმრთელობას, ასევე სხვის მატერიალურ ქონებას.

4.4 ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზატორები თავისუფლდებიან სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

5. პრომოუტერის/ორგანიზატორის ვალდებულებები.

5.1 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: მოახდინოს შეჯიბრის მართებული დაგეგმარება, შესაბამისი გარემოფაქტორების გათვალისწინებით, უშუალო კოორდინირება გაწიოს შეჯიბრის მოსამზადებელ სამუშაოებსა და შეჯიბრის მსვლელობის დროს.

5.2 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: მონაწილეებს წინასწარ აცნობოს შეჯიბრთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია და რისკფაქტორები.

5.3 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: შეჯიბრისთვის გამოყოს ოფიციალური პირების განსაზღვრული რაოდენობა და უზრუნველყოს ობიექტური მსაჯობა.

5.4 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია: მაყურებლისათვის წინასწარ განსაზღვროს და გამოყოს ადგილი/ები.

5.6 პრომოუტერი/ორგანიზატორი ვალდებულია შეჯიბრის (ეტაპის) დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა გამოაქვეყნოს შეჯიბრის (ეტაპის) შედეგები.

6.მონაწილეების ვალდებულებები

6.1 მონაწილე ვალდებულია: გაიაროს საშეჯიბრო რეგისტრაცია ორგანიზატორების მიერ წინასწარ დადგენილი წესით, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები რეგისტრაციისთვის: სრულწლოვანების შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული - ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია.

არასრულწლოვანების შემთხვევაში: მშობელი/მეურვე ვალდებულია განახორციელოს არასრულწლოვანის რეგისტრაცია. წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი, მშობლის/მეურვის პირადობის მოწმობის ასლი და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული - ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია.

6.2 მონაწილე ვალდებულია: დაესწროს ორგანიზატორების მიერ ორგანიზებულ ბრიფინგს, რომლის დრო და ადგილი წინასწარ იქნება განსაზღვრული ორგანიზატორების მიერ. მონაწილის ბრიფინგზე გამოცხადება დადასტურდება მისი ხელმოწერით.

არასრულწლოვანი მონაწილე ვალდებულია ბრიფინგზე გამოცხადდეს მშობელთან/მეურვესთან ერთად, რაც დადასტურებულ იქნება მშობლის/მეურვის ხელმოწერით.

ბრიფინგზე იქნება მიწოდებული ინფორმაცია შეჯიბრთან და ზოგად რისკებთან დაკავშირებით, ბრიფინგზე არ დასწრება გამოიწვევს მონაწილის დისკვალიფიკაციას.

6.3 მონაწილე ვალდებულია: შეჯიბრის დაწყებამდე 1 საათით ადრე გამოცხადდეს სასტარტო ბანაკთან, გააჩეროს მოტოციკლი წინასწარ მოწყობილ მოტოპარკში და გაიაროს რეგისტრაცია მოტოპარკის პასუხისმგებელ პირთან, რის შედეგადაც პასუხისმგებელი პირი მიუთითებს სპორტსმენს მისი მოტოციკლის განთავსების ადგილს.

6.4 მონაწილე ვალდებულია: უსიტყვოდ დაემორჩილოს ოფიციალური პირების მითითებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მონაწილის დისკვალიფიკაცია.

6.5 მონაწილეს ეკრძალება: არაფხიზელ მდგომარეობაში შეჯიბრში მონაწილეობის მიღება.

6.6 მონაწილეს ეკრძალება: სხვისი მოტოტრანსპორტის შეხება.

6.7 მონაწილეს ეკრძალება: არასპორტული საქციელი, რაც გამოიხატება შემდეგში: უცენზურო სიტყვების ხმარება, ტერიტორიის დანაგვიანება, გამიზნულად მოწინააღმდეგის დაზიანება ან შეყოვნება, თვითნებურად საშეჯიბრო გზაზე გასვლა, ოფიციალურ პირებთან/პრომოუტერტან შელაპარაკება და დაუმორჩილებლობა, წინასწარ დადგენილი წესების მიზანმიმართულად დარღვევა.

6.8 სასტარტო მოტობანაკში მოტოტრანსპორტის მოთავსების შემდეგ მონაწილეს ეკრძალება მოტოციკლით ყველანაირი გადაადგილება გარდა უშუალოდ შეჯიბრის დროისა ან/და მსაჯის ნებართვით.

6.9 ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების უგულებელყოფა გამოიწვევს სპორტსმენის დისკვალიფიკაციას.

7. ლიცენზირება/შეჯიბრზე რეგისტრაცია

7.1 შეჯიბრზე- წყვილთა რბოლა „ედვენჩერ“ და „დუალ სპორტ“ მოტოციკლებს შორის, თითეული მონაწილე ვალდებულია ქონდეს საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ერთჯერადი ლიცენზია. ერთჯერადი ლიცენზიის საფასური 2026 წლის მდგომარეობით არის 50 ლარი და ლიცენზიის აღება აუცილებელია ყოველი შეჯიბრის/ეტაპის წინ ღონისძიებაზე რეგისტრაციის დროს. სალიცენზიო რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია www.motofederation.ge

7.2 შეჯიბრზე რეგისტრაციის საფასური შეადგენს 100 ლარს. საშეჯიბრო რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია www.motofederation.ge

7.3 რეგისტრაცია დაიწყება ორგანიზატორების მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს. მონაწილე ვალდებულია დროულად გაიაროს რეგისტრაცია, რის შედეგადაც მიიღებს საშეჯიბრო ნომერს. რეგისტრაციისთვის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია იხ.პუნქტი **6.1.**

8. რეკომენდაციები

8.1 გამომდინარე შეჯიბრის სირთულიდან, რაც მოითხოვს შეჯიბრის მსვლელობის დროს სპორტსმენის სრულ ფიზიკურ დატვირთვას, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ განსაზღვროს პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და იმოქმედოს შესაბამისად მისი ფიზიკური მონაცემებისა.

8.3 გამომდინარე საშეჯიბრო გზიდან, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ მოამზადოს თავისი მოტოციკლი და დარწმუნდეს მის ტექნიკურ გამართულობაში.